

## განმარტებითი ბარათი

### „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის მიღების მიზეზია ის, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლის შემდეგ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის მიზანშეწონილების მოტივით ბათილად ცნობის უფლება აქვს ზედამხედველობის ორგანოს. მიზანშეწონილების მოტივით ზედამხედველობის ორგანოს მიერ თვითმმართველობის სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ არ არის დარეგულირებული.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია ზედამხედველობის ორგანოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული სამართლებრივი აქტის მიზანშეწონილების მოტივით ბათილად გამოცხადების საფუძველი დარეგულირდეს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კოდექსის 60<sup>1</sup>-ე მუხლს დაემატება „1“ პუნქტი, რომლითაც „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველებს დაემატება მიზანშეწონილების მოტივით ბათილად ცნობის საფუძველი „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

კანონპროექტის ძალაში შესვლა არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;  
გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. მასში აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.

საქართველოს პარლამენტის წევრი ვანო ხუხუნაიშვილი